საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 10 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი (ცალკე ნომერი ფასდება 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, აგრეთვე ... და ამას წერილებს არც ... კისრულობს.

... კნ. 12. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქტორი ... 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: გოლოვინის პროსპ. № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12.

ტელეფონი 16—62.

№ 267 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 267

# 12 დეკემბერი (ძველი სტილით 29 ნოემბერი) — სახალხო გვარდიის დღეა

გულმოკლულნი მშობლები: პარასკევა და იოსებ, ბებია ნინო, დები მანიკო და თიკო და ძმა ირაკლი ბოძაშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 12 დეკემბერს (ახალი სტილით) ქ. თელავში იქნება გადახდილი ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის, მეოთხე კლასის მოწაფის

**თამარო ბოძაშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა იქნება გადახდილი ხვთაების ეკლესიაში, პანაშვიდი კი ქალაქის სასაფლაოზე, მის საფლავზე (3—3)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე გიორგი ალექსის ძე და შვილი ლილი გოგოტიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 6 დეკემბერს ქ. თფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი სახალხო სკოლის მასწავლებელი

**ნინა იასონის ასული გოგოტიშვილისა**

ცხედრის გამოსვენება ბინიდან (პეს... ქ. № 4) თფილისის სადგურზე დანიშნულია 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე. დაკრძალვა მოხდება გურიაში სოფელ ვაკიჯვარის წმინდა კვირიაკეს ეკლესიის გალავანში 10 დეკემბერს დილით სამშაბათს. (3—3)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ივანე დიმიტრის ძე, ძმა ნიკო ივანეს ძე, და სონია და რძალი ნინა სიხარულიძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 6 დეკემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა მათი საყვარელი სტუდენტი

**ვასო სიხარულიძე.**

დაკრძალვა მოხდება ქ. ხაშურში, დღეს, 10 დეკ. დილის 10 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღეს დილა საღამოს. (3—2)

გულდათუთქულნი: და ანნა ივანეს ასული, სიძე ნიკოლოზ ანტონის ძე და სიძის და ელენე ანტონის ასული ფრანჩუკები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უსაყვარლესი სტუდენტის

**ვასო სიხარულიძის**

გარდაცვალებას თფილისში 6 დეკემბერს. დაკრძალვა მოხდება ხაშურში დღეს, 10 დეკემბერს დილის 10 საათზე. (3—2)

გულდათუთქულნი პატარა ვახტანგი, ლუსიკო და მილია სიხარულიძენი, ვალოდია და მილკა ფრანჩუკები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს საყვარელი ბიძის სტუდენტის

**ვასო სიხარულიძის**

უდროოთ გარდაცვალებას თფილისში. დაკრძალვა მოხდება ხაშურში დღეს, დილის 10 საათზე, 10 დეკემბერს. (3—2)

ღრმად დამწუხრებული ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს გვარდიელებს, რომ თფილისში, 6 დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გვარდიის საუკეთესო წევრი სტუდენტი

**ვასო სიხარულიძე.**

დაკრძალვა მოხდება ხაშურში დღეს, დილის 10 ს., 10 დეკემბერს. (3—2)

გულდათუთქული მამა ერმილე, ძმები ..., დედა ალექსანდრა, დები მარია და ტატიანა, ძმები ბარნაბა, ვალიკო, გრიშა და ბენიამინე აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებულის საყვარელ და დაუვიწყარ სტუდენტ ჯარის კაცის

**გერმანე ერმილეს ძე ქვანიას**

გამოთხოვების და დასაფლავების დღე დანიშნულია 11 ქრისტეშობისთვეს, დღ. 4 საათზე, სოფელ ონტოფოში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში.

ღრმად გულდასერილი სტუდენტი მეგობრები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქ. თფილისში 6 დეკემბერს გარდაიცვალა ძვირფასი მეგობარი

**ვასია სიხარულიძე**

დაკრძალვა მოხდება დღეს, 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ქ. ხაშურში.

ღრმად დამწუხრებული და გულმოკლულნი დედამთილი ლოლო ევნატეს ასული, მაზლები მიხაკო და დათიკო, მულები ვარდო გლეხენის ასული ლიონტინა და კესარია გოგოტიშვილი და სიძე ირაკლი ონისიმეს ძე დონჯაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ქ. თფილისში ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახალხო სკოლის მასწავლებელი

**ნინა იასონის ასული გოგოტიშვილისა**

დაკრძალვა მოხდება 10 დეკემბერს, სამშაბათს, ს. ვაკიჯვარში, კვირიაკის ეკლესიის გალავანში.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები იასონ თეიმურაზის ძე, ელენე ნიკოს ასული ძმა ივანე იასონის ძე ბასილიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 7 დეკემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თფილისში გარდაიცვალა სახალხო სკოლის მასწავლებელი

**ნინა იასონის ასული გოგოტიშვილისა**

ცხედარს გამოასვენებენ თფილისის სადგურზე შაბათს. საიდგანაც წაასვენებენ გურიაში; დაკრძალვა მოხდება 10 დეკემბერს, დილით, სამშაბათს ს. ვაკიჯვარის წმიდა კვირიაკეს ეკლესიის გალავანში. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მშობლები მასიკო და ნინო, ძმები: ლადიკო, რაჟდენ და ბიქტორ, დები: პელაგია და სოფიო და რძალი ალექსანდრა გიორგაძენი, დისწულები: იოსებ და ანდრია ჯაშები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს

**კატუშა (ეკატერინა) ვაშალომიძისას**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

## მრეწველობის განვითარება და დემოკრატ. ინტერესები

ჩვენი საბოლოო მიზნის—სოციალიზმის—მისაღწევად ჩვენ საჭიროდ ვთვლით კაპიტალიზმის განვითარებას. მართალი იყო რუსეთის სოციალდემოკრატიის მამამთავარი, განსვენებული გიორგი პლეხანოვი, როცა ამბობდა: ჩვენ კაპიტალიზმის მეტის მეტ განვითარებით კი არა, მისი განუვითარებლობით ვიტანჯებითო.

უტოპისტი სოციალისტები სხვანაირად მსჯელობენ. ისინი სოციალურ ურთიერთობის მხოლოდ ზედა პირს ამჩნევენ და ამიტომ ჰგონიათ, რომ ხალხის მტერია კაპიტალიზმი, რომელსაც მათის ფიქრით, ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ამიტომ გულწრფელად გვიწოდებენ ჩვენ ისინი ბურჟუაზიის იდეოლოგებს და გაპროლეტარების სურვილს გვაწერენ.

მარქს-ენგელსმა მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი წყობილება ვერ დამყარდება, სანამ მისი წინამორბედი ურთიერთობა სავსებით არ ამოსწურავს თავის სასიცოცხლო ძალებს; ფეოდალურ წყობილებას ბუნებრივად სცვლის კაპიტალისტური, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილი უნდა დაიჭიროს სოციალისტურმა ურთიერთობამ. უტოპისტი სოციალისტები გულუბრყვილოთ ფიქრობდნენ ფეოდალიზმიდან პირდაპირ სოციალიზმის სამყაროში გადახტომას. მარქსი და ენგელსი, რუსეთში კი პლეხანოვი სასტიკად დასცინოდნენ ამ უტოპისტებს, ხოლო როცა საერთაშორისო ომის მსვლელობაში რუსეთის ბოლშევიკებმა პრაქტიკულად განიზრახეს სოციალისტურ წყობილებაში „გადახტომა", შედეგად მათ მიიღეს ველური კომუნიზმი მოხმარებისა, ეკონომიურ ცხოვრების არევ დარევა, მრეწველობის დაცემა და პროლეტარიატის დაუძლურება.

რუსეთის მწარე გაკვეთილებით ჩვენც უნდა ვისარგებლოთ.

სამწუხაროთ, ჩვენც ვიტანჯებით კაპიტალიზმის უძლურობით, მრეწველობის განუვითარებლობით.

თეორიას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ გამოცდილებითაც ვიცით, რომ დემოკრატიულ მოძრაობის მეთაური ჩვენში იყო და დღესაც არის პროლეტარიატი. პროლეტარიატის არსებობა კი წარმოუდგენელია მრეწველობის გარეშე. გარდა ამისა, მხოლოდ მრეწველობის განვითარებას შეუძლია თავიდან აგვაცილოს უცხო კაპიტალის მტაცებლური მოღვაწეობა, ხელი შეუწყოს ჩვენს საზღვრებში ალებმიცემობას ზრდის და კულტურის აყვავებას.

ამიტომ, ჩვენს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

მაგრამ ამ საკითხში არსებობს ორი გზა, ორგვარი მიმართულება.

თვითონ კაპიტალისტები, მეტ დრო ჩვენი ახლად ფეხადგმული კაპიტალისტები არ არიან დაინტერესებული ქვეყნის ბედ-იღბლით, ისინი არ დაგიდევენ კულტურულ განვითარებას. მათი იდეალია, რაც შეიძლება, მეტი ფული მოიგონ, თუნდაც მტაცებლურ საშუალებებით.

დემოკრატია, რასაკვირველია, ვერ გაიზიარებს ჩვენი მრეწველების ასეთს შეხედულებებს. დემოკრატია თავდაპირველად ანგარიშს გაუწევს ქვეყნის საერთო ბედს, მის სარგებლობას და შეებრძოლება კაპიტალისტების ავყარწახნ ლობას, მათს მადას, მხოლოდ საკუთარ სარგებლიანობისაკენ მიმართულს.

მაგრამ რამდენადაც ჩვენი ახალ-ფეხადგმული კაპიტალისტები შეეცდებიან თავიანთი გამდიდრების სურვილი დაამყარონ ტეხნიკის განვითარებასა და კულტურის აყვავებაზე, იმდენათ ჩვენი სიმპატია მათს მხარეზე იქნება და ჩვენს პოლიტიკურ მოვალეობათ ჩავთვლით დახმარება აღმოუჩინოთ მათ.

ჩვენი მიზანია სოციალიზმი. მაგრამ ჩვენი გზაა, გზა კაპიტალიზმის განვითარებისა.

ამიტომ მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და იმავე დროს დემოკრატიის ინტერესების დაცვა, ჩვენი მიუცილებელი მოვალეობაა.

## პრესა

„აშხატავორი" (№ 202) მოწინავე წერილში, ახალქალაქის მაზრაში საქართველოს ჯარის შესვლის გამო, სხვათაშორის, შემდეგს სწერს:

„ჩვენ გვგონია, რომ სოციალდემოკრატების პატრიოტული სიხარული უნდა ეკუთვნოდეს მარტო ახალციხეს. რაც შეეხება ახალქალაქის საქართველოს ჯარებით დაკავების საკითხს, უნდა ეს საკითხი დარჩენილიყო ჯერ სადავო საკითხათ. აგრე უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ სომხეთს აქვს უფრო ძირითადი და უდავო პრეტენზიები ახალქალაქის შესახებ.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, ძალადობით ერების თვითგამორკვევის ან საზღვრების საკითხი არ გადაიჭრება. ჩვენ დემოკრატიულ პრინციპების საფუძველზე ვდგავართ და ვაცხადებთ, რომ 1) საჩქაროდ ერების თვითგამორკვევის ყველა სადავო საკითხები უნდა გადაიჭრან ხალხის თავისუფალ ნების გამოთქმით—რეფერენდუმით და ეთნიურ პრინციპის თანახმად, და 2) კერძოთ ლორის, ბორჩალოს და ახალქალაქის საკითხებს, რომლებსაც სომხეთი უდავოთ თავისათ სთვლის, უნდა აგრეთვე მიემატოს ამ ადგილების ერთა თავისუფალი თვითგამორკვევა.

„ამას მოითხოვენ როგორც ორ სახელმწიფოს ხალხთა ინტერესები, აგრეთვე ზოგიერთი „სადავო" საკითხების დადებითი გადაჭრა".

ჩვენ არ გვავიწყდება, რომ „აშხატავორი" და ძმანი მისნი იყვნენ ჩამშლელი კონფერენციის, რომელსაც სადავო საკითხები უნდა გადაეწყვიტა. ახლა, როდესაც ჩვენი ჯარი შევიდა ჯავახეთში, რომელიც ამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში რუსეთის ცარიზმის პოლიტიკამ ქართველთა მაგიერ სომხებით აავსო, „აშხატავორი" ეთნიურ პრინციპს აყენებს, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს: რაც ცარიზმმა მოგვცა, იგი ჩვენი უნდა იყოსო. მაგრამ ერთი უნდა ვკითხოთ ამ უებრო დემოკრატებს და „ინტერნაციონალისტებს", რა პრინციპს აყენებენ იხინი, როცა ალექსანდროპოლზე უჭერავთ თვალი, ან რომელი ეთნიური პრინციპით ითვისებენ თუნდა ერზერუმის და მის მეზობელ ვილაეტებს?

ალბათ, მათ ორი საზომი აქვთ: იქ, სადაც მათზე ძალადობა იხმარეს,—ისინი ეთნიურ თვალსაზრისს უარჰყოფენ, სადაც თვითონ ძალადობით მოიკალათეს, იქ ეთნიურს ემღერიან.

ეს ნაციონალისტურ „აშხატავორისგან" არც გასაკვირველია. მათი ბუნება სხვა გვარათ ვერ მოიქცევა, თუ არა ორპირულად.

ჩვენ კი ვამბობთ: ძმურათ და მეგობრულად ვიღებთ მათ, ვინც ჩვენს ტერიტორიაზე, თუნდა ცარიზმისგან არის ჩამოსახლებული, ჩვენი ტერიტორიის ასაშენებლად. მაგრამ სასტიკათ ვეწინაამდეგებით იმათ, ვინც ცარიზმის პოლიტიკას განაგრძობს, და მოისურვებს ჩვენი ტერიტორიის დაქუცმაცებას...

* * *

ერევნის სომხური გაზეთი „ჟოღოვურთ" (სომხის სახალხო პარტიის ორგანო) მოწინავე წერილში ეხება სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობის საკითხს და შემდეგს სწერს:

„ჩვენი გარეშე პოლიტიკის ხაზი ამიერკავკასიის შესახებ უნდა იყოს სოლიდარობის და საერთო ინტერესების ურთიერთ შეგნების პოლიტიკა. ამისათვის სომხეთის მთავრობამ უნდა გაგზავნოს საქართველოში და აზერბეიჯანში ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც აღიარებენ ამ პრინციპებს და შეუძლიანთ მათი ცხოვრებაში განხორციელება. გარდა ამისა, საურთიერთო პოლიტიკაში მიღებულია, რომ რომელიმე სახელმწიფოში დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღონ იმ მთავრობის სურვილი, სადაც უნდა გაგზავნოს წარმომადგენელი.

„ამ თვალსაზრისით, და თავის დიპლომატიური მოუმზადებლობითაც მოსათმენი არ არის, რომ ბ. არშ. ჯამალიანი დარჩეს სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის თანამდებობაზე საქართველოს მთავრობასთან.

„ახლა, როცა საზღვრების სადავო საკითხის გადაჭრაა დადგენილი ამიერ-კავკასიაში, კარგ პოლიტიკის წარმოებას დიდი როლი შეუძლიან ითამაშოს ამ საკითხის მშვიდობიანობით დასაბოლოვებლად. საქართველოში და აზერბეიჯანში უნდა დაინიშნონ ამიერ-კავკასიის ერების სოლიდარობის მოშხრე პირები და იმავე დროს უნდა მხედველობაში მიიღონ მეზობელ ქვეყნების სურვილი კანდიდატების შესახებ.

„ამას მოითხოვს სომხეთის რესპუბლიკის ინტერესი, და რამდენათაც ადრე დაინიშნებიან ასეთი წარმომადგენლები, იმდენათ კარგი იქნება".

ამას ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთი დავუმატოთ: სომხეთის დღევანდელი წარმომადგენელი, სამწუხაროთ, ბევრი ისეთ ფაქტებში აღმოჩნდა მონაწილე, რომ მისი აქ დარჩენა ვერ შეუწყობს ხელს მეგობრული განწყობილების განმტკიცებას.

საზოგადოებრივი აზრი ჩვენში მის სასარგებლოთ არ არის და არც შეიძლება იყოს.

* * *

„ტიფ. ლისტოკს" გაზ. „საქართველოდან" მოჰყავს შემდეგი ადგილი:

„უცილობელია ის ფაქტი, რომ ქართველი სოციალდემოკრატია აღარ წარმოადგენს კლასობრივ პარტიას და არც კლასობრივ პოლიტიკას აწარმოებს: ეს ხალხი გაიმსჭვალა ეროვნული პათოსითა და ეროვნული იდეოლოგიით, რომელსაც თითქმის არაფერი საერთო არ აქვს მარქსისტულ სოციალიზმთან. ვის ინტერესებს იცავდა ბ. ჟორდანიასა და ბ. რამიშვილის მთავრობა, როცა ის სკოლისა, ადმინისტრაციისა ან სასამართლოს ნაციონალიზაციას ახდენდა? ვის ინტერესებს იცავდა ის, როცა ლორისა, ჯავახეთისა ან წალკის გულისთვის არარატის რესპუბლიკის წინააღმდეგ საომრათ ემზადებოდა"?

ამ სტრიქონების გამო „ტიფ. ლისტოკი" შემდეგს ამბობს:

„ერთობა" გვისაყვედურებდა, „კლდესთან" და „საქართველოსთან" აგვრიეთო და ძალიან გვეჯავრებოდა ამის გამო. მაგრამ თურმე ჩვენ კი არა, თვით იმ გაზეთებსაც არიეს, რომლებისაგანაც იმიჯნებოდა „ერთობა" ექსპერტიზა, როგორც ხედავთ, ჩვენზე უფრო კომპეტენტურია".

რაზედ ვეკამათებოდით „ტიფ. ლისტოკს?" „ერთობა" ამნაირ ტონით სწერს: „აი თქვე ასეთო, ისეთო, საქართველოს მტერნო, მოლაპარაკენო". ჩვენ ამის გამო ვთქვით, რომ ბ. დუბროვსკის, უეჭველია, „კლდე"-„საქართველოში" წაკითხული „ერთობაში" წაკითხულად მოეჩვენა. მართლაც, „ერთობაში" იმისთანა „ტონს" ვერსად იპოვის ბ. დუბროვ-

# დღეს

7 დეკემბერს დაიმსხვრა სად. წიფიდან გასული ბაქოდან მომავალი ოსმალთა სანიტარო მატარებელი. მოკლულია 120 კაცი, დაშავებული — 180.

— —

საქართველოს წინააღმდეგ აგიტაციამ ყუბანსა და დონის ოლქებში უკანასკნელ დღეებში ფართო ხასიათი მიიღო.

— —

საქართველოში მყოფი გერმანიის ჯარის უკანასკნელი ეშელონი ფოთიდან გავა 13 დეკემბერს.

— —

ბერლინში „სპარტაკის“ ჯგუფის მეთაურობით მოხდა შეიარაღებული გამოსვლა ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ. ებერტის მთავრობამ აჯანყება იარაღით ჩააქრო.

— —

უკრაინაში პეტლიურასა და გეტმანის მომხრეთა შორის ბრძოლა სასტიკი ხასიათისაა. მოელიან ბრძოლაში მოკავშირეთა ჯარების ჩარევას და ადესის, ხარკოვის და კიევის ოკუპაციას. მოკავშირეთა ჯარები სად. ჟმერინკისა და ფასტოვისკენ მოიწევენ.

— —

გენ. დენიკინის მოწინავე რაზმები უკრაინაში გეტმანის ჯარს შეუერთდა.

— —

ოსმალეთმა სამხედრო გემები შავ ზღვაზე მოკავშირეთ გადასცა.

— —

მოკავშირეთა ჯარები გერმანიის ტერიტორიაზე, რეინისკენ, წინ სვლას განაგრძობენ.

— —

ესტონეთის მთავრობის თხოვნით ინგლისის ფლოტმა დაიკავა რეველი, რათა აქედან წინააღმდეგობა გაუწიოს ბოლშევიკებს.

---

სკი. რაც შეეხება „საქართველოდან“ ამოწერილ სტრიქონებს, იქიდან ის ჩანს, რომ სოც.-დემ. ჭეშმარიტი სახალხო პარტია ყოფილა, „ეროვნულ პათოსის“ მატარებელი. ეს რომ ასეა, ჩვენც არა ერთხელ გვითქვამს და მხოლოდ „ტ. ფ. ლისტოკს“ თუ მოეჩვენა ეს „საქართველოს“ მიერ აღმოჩენილ ამერიკათ.

## საორგანიზაციო საკითხები *)

### ნოე ჟორდანიას საპასუხო სიტყვა.

ჩემი მოხსენების წინააღმდეგ მე მოვისმინე დებულებები იმ პირთაგან, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი არიან. ყველა ის ამხანაგები, გარდა ფირუმოვისა, ხაზგასმით ამბობდნენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა ხანმოკლეა და მალე გაქრება. რაკი რესპუბლიკის დღეები დათვლილია, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავისი მიზნები და მოქმედების გეგმა ამ რესპუბლიკის არსებობაზე არ უნდა ააშენოსო.

რადგანაც მათ ასეთი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს რესპუბლიკასთან, და ამ ფაქტს უარყოფით უყურებენ, ცხადია, რომ ჩვენ ერთ ორგანიზაციაში ყოფნა არ შეგვიძლია. მოწინააღმდეგე ორატორების სიტყვები აშკარათ ამტკიცებენ იმას, რომ თითოეულ ამიერ კავკასიის რესპუბლიკაში საკუთარი სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა დაარსდეს. თითოეულ რესპუბლიკას აქვს თავისი პოლიტიკური საკითხები და ამიტომ თავისი პოლიტიკური პარტიაც უნდა ჰყავდეს.

ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ყველა პარტიული ორგანიზაციები ერთსულოვნად დგანან საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე, სომხეთის და ადერბეიჯანის ამხანაგები კი ეწინააღმდეგებიან. აქედან ცხადია, რომ შეუძლებელია ყოველგვარი გაერთიანება ერთ პარტიულ ცენტრში ამიერ-კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციებისა.

ჩვენ არასოდეს არ ვიყავით გაერთიანების წინააღმდეგ და არც ამ ჟამათ ვართ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ გაერთიანებისათვის საჭიროა ის ელემენტები, რომელნიც უნდა შეერთდნენ. სწორედ ჩვენ ამ ჟამათ ეს ელემენტები არ გვყავს ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ამ ჟამად ამ ელემენტების შეერთება შექმნილ პირობებისა გამო, შეუძლებელია.

ჩემი მოწინააღმდეგე ორატორები ეყრდნობოდნენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სათბობი მასალა არ აქვს, პური არა აქვს და ამიტომ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიაო. ეს მართალი არ არის. არც ერთ განვითარებულ სამრეწველო სახელმწიფოს თავისი პური არ ყოფნის, პური საკმაო და ზედმეტი აქვს, მხოლოდ ჩამორჩენილ სახელმწიფოებს (აიოლლოს ადგილიდან: ამერიკას ხომ აქვს თავისი პური, ის ხომ ჩამორჩენილი სახელმწიფო არ არის?)

აიოლლომ უნდა იცოდეს, რომ ამერიკა ერთი მატერიკია, ხოლო რამოდენიმე სახელმწიფოსაგან შესდგება და იქ არის მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილიც და განვითარებული სახელმწიფოებიც.

ჩვენ აქ ზურაბოვმა და სხვებმა გვითხრეს, რომ წინეთ სხვას ამტკიცებდით, ცენტრალისტები იყავით, დღეს კი სულ სხვას ამტკიცებთ, განა კაუცკის ეს ნაწერი წინეთ არ ჰქონდა და თქვენ არ იცოდითო?

ასე გვისვამენ კითხვას.

ამხანაგებო, ჩვენ წინეთაც ვიცოდით ეს, კაუცკის რევოლუციამდე ჰქონდა ის წიგნი დაწერილი და ჩვენ ვიცოდით მისი შინაარსი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ერთი რამ: ჩვენ ვიყავით ცენტრალისტები, ღრმად გვწამდა, რომ მხოლოდ ცენტრიდან შეიძლებოდა ძველი რეჟიმის დამხობა, სწორედ აქეთკენ მოვუწოდებდით ჩვენ ყველა რევოლუციონერებს და მუშათა კლასს.

რევოლუცია მოხდა, ძველი რეჟიმი მართლაც ცენტრის საშუალებით დაემხო, ჩვენ გვინდოდა ისევ ცენტრის საშუალებით აგვეგო ახალი სახელმწიფოებრივი შენობა, წყობილება, მაგრამ, უნდა იცოდეთ, რომ ბოლშევიკების წყალობით საერთო რევოლუციონური, დემოკრატიული ფრონტი დაირღვა და მით ჩვენი გეგმაც ჩაიფუშა. ჩვენ დავმარცხდით და გავმაგრდით ჯერ ამიერ კავკასიაში, შემდეგ საქართველოში, რათა ამ კუთხეში მაინც შეგვენარჩუნებინა რევოლუციის მონაპოვარი. და აი, დღეს ჩვენ კიდევაც შევინარჩუნეთ რევოლუციის მონაპოვარი და ვმუშაობთ ამ მიმართულებით, თქვენ კი გვეუბნებით, რომ ეს ყველაფერი სისულელეა, მიატოვეთ და რუსეთთან გაერთიანებაზე იფიქრეთო. ხომ სჯობია საერთო დემოკრატიული ფრონტი, საერთოდ უკეთესად გავატარებთ პროლეტარულ ტაქტიკას და სოციალიზმსაც უფრო ადვილათ განვახორციელებთო.

თქვენ, ამხანაგებო, თქვენი ლამაზი სიტყვებით ვერაფის ვერ გადაარწმუნებთ (ტაში). ჩვენში რევოლუცია ბრწყინავს, გამარჯვებულია. ეს გარემოება თქვენ უნდა გახარებდეთ, მაგრამ მე თქვენში სიხარულის მაგივრად ვხედავ სულ სხვას, და ეს სულ სხვა მე არ მომწონს, — ეს არის რუსული ნაციონალიზმი.

სმირნოვი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მე-19 საუკუნეში არ ხდებოდა სახელმწიფოთა ნაციონალურ სახელმწიფოებათ დაყოფა, პირიქით, გაერთიანების ტენდენცია უფრო ძლიერი იყოო.

ეს მართალი არ არის, იყო მაგალითები, როცა ორი ერი ერთი მეორეს ეთიშებოდენ, ეყოფოდენ, ხოლო ორი-სამი ნაციის გაერთიანების მაგალითი, როგორც მე მოგიყვანეთ კ. კაუცკის ნაწერიდან, არ ყოფილა. სმირნოვმა თავისი აზრის დასამტკიცებლად მოიყვანა კარლ კაუცკის ნაწერები, მაგრამ ავიწყდება, რომ კაუცკი ამტკიცებს თავის ნაწერებში, რომ არის ტენდენცია განვითარებისა, რომელსაც მივყევართ ნაციონალური სახელმწიფოების შექმნისაკენ (ზურაბოვი: კაუცკი ხომ წინააღმდეგია საქართველოს დამოუკიდებლობის?) ამხ. ზურაბოვი ამბობს, რომ კაუცკი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგიაო, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ კაუცკი სრული თანაგრძნობით უყურებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ამიტომ სმირნოვის მიერ იტალიის მაგალითის მოყვანა არის მხოლოდ გაუგებრობაზე აშენებული. ამ მაგალითს მნიშვნელობა ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ იტალია სხვადასხვა ერებით იყოს დასახლებული, და ისინი შეერთებულიყვნენ ერთ იტალიის სახელმწიფოში. მაგრამ იტალია დასახლებულია მხოლოდ ერთი ნაციით, იტალიელებით, და ამ ხალხის გაერთიანება კაუცკის მიერ ნაჩვენებ ტენდენციას ამტკიცებს, ვინაიდან ეს არის მაგალითი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნისა. ამასვე ვხედავთ ჩვენ გერმანიის მაგალითზე (აიოლლო: „შვეიცარია“?) ამხანაგი აიოლლო ისევ ცდება. ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ თანამედროვე ტენდენციაზე, რომელიც ნაყოფია მრეწველობის განვითარებისა. შვეიცარიის შექმნის პროცესი კი ეკუთვნის საშუალო საუკუნოებს. ის წარმოადგენს განსაკუთრებულ ტიპს სახელმწიფოსას. აი მაგალითად: საშუალო საუკუნოებიდან ჩვენი მთიელები, რომ გაერთიანებული იყვნენ ერთ კავშირში და ეს კავშირი შეენარჩუნებინათ დღემდე — სწორეთ ასეთია შვეიცარიის კავშირი.

შემდეგ სმირნოვმა სთქვა, რომ პროლეტარიატის ინტერესები საერთო ხალხის ინტერესებს არ ეგუებიან, პირიქით, მათ შორის წინააღმდეგობა არსებობსო. ის, ვინც ფიქრობს, რომ პროლეტარიატის ინტერესები არ ეგუება საერთო ხალხის ინტერესებს, ვინც პროლეტარიატის და ხალხის ინტერესებს ერთმანეთს უპირდაპირებს, ის არ შეიძლება იყოს მარქსისტი. ჩვენ სწორედ ამ საკითხში ვედავებოდით ბოლშევიკებს. ისინიც პროლეტარიატის ინტერესებს ხალხის ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. ამ შემთხვევაში სმირნოვი და მისი ჯგუფიც ბოლშევიკობენ, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ პროლეტარიატის ინტერესები არ უნდა იქნას ხალხის ინტერესებზე მაღლა დაყენებული, პროლეტარიატის ინტერესები უნდა შევუთანხმოთ საერთო ხალხის ინტერესებს. სმირნოვმა აქ სთქვა, რომ ჩვენ გვაქვს შემუშავებული ისეთი გეგმა, რომლის საშუალებით ვიხსნით როგორც რუსეთის, ისე საქართველოს დემოკრატიისო. მე არ ვიცი, რომელ გეგმაზე ლაპარაკობდა ის აქ. თუ რაიმე ახალი, სადა გეგმა გაქვთ შემუშავებული, მობრძანდით, გაგვაცანით და იქნებ მართლაც გვიხსნათ, მაგრამ თუ თქვენი გეგმა შეიცავს მხოლოდ ფრაზებს, რომლითაც გაერთიანებისკენ მოგვიწოდებთ, მაშინ ნურას უკაცრავად, თუ თქვენს გეგმა არ მივიღოთ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ აგრეთვე ბოლშევიკებთან საბრძოლველათ გარეშე ძალებზე დაყრდნობის, რადგანაც ეს კონტრ-რევოლუციის, რეაქციის გამარჯვება-გაბატონებას გამოიწვევს. ჩვენ მომხრე ვართ ბოლშევიკებთან შინაური ძალებით ბრძოლისა, ჩვენ სულ არ ვართ გაერთიანების წინააღმდეგი, მაგრამ ამ ჟამად ჩვენ რუსეთთან გაერთიანება შეუძლებლათ მიგვაჩნია.

სმირნოვი გულმოსულად ლაპარაკობდა და ამიტომ იყო, რომ ის ხშირათ სულ უსაფუძვლო აზრებს ამბობდა. მან სთქვა, რომ შულენბურგი და დენიკინი ერთი და იგივეა და თუ შულენბურგთან სახელმწიფოებრივ მუშაობას ეწეოდით, რა გიშავთ, რომ დენიკინთან იმუშაოთო.

ეს ანალოგია ძალიან სუსტია არსებითად. შედარება ერთია, ხოლო საქმე მეორე. შულენბურგმა ჩვენ ასეა თუ ისე დაგვიფარა ოსმალეთის მიერ განადგურებისაგან, ხოლო დენიკინი ყოველ წამს განადგურებით და ვინ იცის, კიდევ რით არ გვემუქრება. ასე რომ, ჩვენთვის შულენბურგი და დენიკინი ერთი და იგივე არ არის, ეს უნდა სცოდნოდა სმირნოვს.

ფირუმოვი ამბობდა, რომ ყველგან სამოქალაქო ომია, ხოლო საქართველოში სამოქალაქო ზავია ჩამოგდებული ბურჟუაზიასთანაო. ამხანაგო ფირუმოვო! თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ის რევოლუცია, რომელიც თავიდან აცდენს სამოქალაქო ომს, საუკეთესო ფორმაა რევოლუციისა. ჩვენში იმდენათ ძლიერი აღმოჩნდა დემოკრატია, ხოლო ბურჟუაზია კი იმდენათ სუსტი, რომ პირველმა (დემოკრატიამ) ბურჟუაზია უომრათ დაიმორჩილა. ჩვენ ისე გავატარეთ აგრარული რეფორმა, რომ სამოქალაქო ომი არ ამტყდარა. ეს არის ჩვენი რევოლუციის დადებითი მხარე, ღირსება და არა ნაკლულევანება, როგორც ეს ფირუმოვს და სხვებს ჰგონიათ. (ტაში).

ამხანაგებო, შეიძლება ჩვენს მოქმედებაში შეცდომები ბევრი იყოს, მაგრამ ჩვენ ცალკე შეცდომებზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ძირითადი ხაზი ჩვენი მოქმედებისა. და ეს ხაზი კი სწორი იყო.

იქნებ ჩვენ ბევრი მტერი მოგვაწვევს, იქნებ მოულოდნელ მტერს ვერ გავუძლოთ და დავმარცხდეთ, მაგრამ მიუდგომელი ისტორია იტყვის, რომ ჩვენ მივდიოდით სწორი გზით და ვებრძოდით რევოლუციის შესანარჩუნებლად ყველა მტრებს, ხოლო სმირნოვი და ამხანაგები ჩვენ არა თუ გვეხმარებოდნენ ამ ბრძოლაში, არამედ — ხელს გვიშლიდნენ. (ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ ნოე ჟორდანიამ წარმოადგინა რეზოლუცია, მეორე რეზოლუცია არ წარმოუდგენიათ.

ფირუმოვი აცხადებს, რომ ოპოზიცია თავის რეზოლუციას არ ადგენს, კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებს. ერთხმათ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია:

**რეზოლუცია.**

„შეერთებულმა სხდომამ ცენტრალური კომიტეტის, საკანტროლო კომისიის, ტფილისის კომიტეტის, რაიონული კოლექტივების, ქვეკოლექტივების და ქალთა ორგანიზაციებისა საქართველოს ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა, მოისმინა რა მოხსენება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსების შესახებ და მის გარშემო კამათი, დაადგინა: „საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის დაარსება არის აუცილებელი შედეგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა, რომელიც (რესპუბლიკა) საქართველოს მუშათა კლასს უყენებს სულ სხვა პოლიტიკურ საკითხებს, ვინემ სხვა სახელმწიფოების დემოკრატიას.

„როგორც საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ არსებობა არ ნიშნავს სხვა რესპუბლიკებთან ამა თუ იმ ფორმით გაერთიანების უარყოფას, ისე საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის არსებობა არ ნიშნავს სხვა ძმურ პარტიებთან გაერთიანების უარყოფას, პირიქით, კრებას აუცილებლათ მიაჩნია ყველაფერი გადადგმულ იქნას ნაბიჯები საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ერთ ერთ ცენტრში გასაერთიანებლათ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია არის არა ნაციონალური, არამედ — ტერიტორიალური, ამიტომ საქართველოში დაუშვებელია ნაციონალური სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის არსებობა.

„ამიტომ ყოველგვარი ცდა ცალკე სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებისა დამოუკიდებლად არსებულ პარტიულ ორგანიზაციებისა, არის პარტიაში რასკოლის და დეზორგანიზაციის შეტანა, ეს გარემოება კი ხელსაყრელია საქართველოს ს. დ. პარტიის და რესპუბლიკის მტრებისათვის.

„კრება მოუწოდებს ყველა შეგნებულ ამხანაგს გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ორგანიზაციის რასკოლის წინააღმდეგ და შეინარჩუნონ პარტიის მთლიანობა და მუშათა კლასის სიმტკიცე“.

*) იხ. „ერთობა“ № 264, 266.

## გერმანიის დელეგაციის ცნობები

ტფილისი, 9 დეკემბერი.

**ბრძოლა ბერლინში.**

7 დეკემბერს ბერლინში მოხდა პირველი შეიარაღებული შეტაკება-ბრძოლა „სპარტაკის“ ჯგუფის და მთავრობის შორის. „სპარტაკის“ ჯგუფი იარაღით ხელში გამოვიდა ძალა უფლების ხელში ჩასაგდებად. ამ დროს ფრონტიდან მოსული ჯარები მიემხრენ ებერტის მთავრობას და ხანგრძლივი სისხლის ღვრის შემდეგ აჯანყება ჩააქრეს. რიცხვი მსხვერპლისა ჯერ გამოურკვეველია.

**პროვინციის აზრი.**

ეს შეტაკება მოხდა მარტო ბერლინში. პროვინციებიდან მთავრობას მოსდის განცხადებები, სადაც მთავრობას ნდობას უცხადებენ და მხარს უჭერენ.

**გაზ. „ფორვერტსის“ აზრი.**

გაზ. „ფორვერტსი“ სწერს, რომ „სპარტაკის“ ჯგუფი უნდა მიხვდეს, რომ მას არავითარი შანსები არა აქვს გამარჯვებისათვის. გაზეთი მოითხოვს ენერგიულად ჩააქრონ ანარქიული გამოსვლები, რომ რაიმე საბაბი არ მიეცეს შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარებს გერმანიის საქმეებში ჩარევისა.

## დავეხმაროთ სამხედრო ტყვეებს

როცა ავსტრო-უნგრეთში რევოლუცია მოხდა და ძველი მთავრობა დაიმსხვრა, სამხედრო ტყვეებს გაუღეს „დაგვრის“ კარები და უთხრეს: წადით თქვენს სამშობლოშიო. მოგვცეს მატარებლები და დიდძალი ეშელონები 6 ნოემბერს ბუდაპეშტიდან გამოეგზავნენ რუსეთისაკენ.

ვაგონებში სულისხმთქმა სპირდა. გავსებულია ხალხით ვაგონების სახურავებიც, ერთმანეთზე ეყარენ. ვაგონებში ასავალ კიბეებზე და ფანჯრებზედაც ხელებით არიან ჩამოკიდებულნი. ყველას სურს, რაც შეიძლება, ადრე მიაღწიოს თავის სამშობლოში. გზაში ბევრ ალაგას მოხდა კატასტროფა. იმსხვრევა ვაგონების სახურავები, საიდგანაც მძინარე ვარდება ძირს. ბევრი იხოცება ამ დროს. ამას დაუმატეთ სიცივე, ყინვა, შიმშილი, ხალხი გატანჯულებულია. სადგურებზე არსად არ მოიპოვება სასადილო.

გამოგვეყვანეს რუსეთში, ჩვენ გვეგონა რომ ამას შემდეგ აღარაფერი გაგვიჭირდებოდა, მაგრამ მოვსტყუვდით.

უკრაინის მთავრობამ ჩვენ ყურადღება არ მოგვაქცია. ბევრი სამხედრო ტყვეები ფეხშიშველი მიდიან ამ ყინვაში, მივიდნენ და სთხოვეს ფეხსაცმელი სადგურ ზნამენკაში კომენდანტს. კომენდანტმა უპასუხა: თქვენ საქართველოს მთავრობას უნდა მოსთხოვოთ ფეხსაცმელი, ჩვენ თქვენთვის არაფერი არ გვაქვსო.

მხოლოდ ქალაქებში არსებობს სასადილო, ხუთი ათასი კაციდან ორი ათასი ღებულობს სადილს, სამი ათასი რჩება უსადილოდ, — არ გვეყოფა მიზეზათ ამბობენ.

გასაკვირველია, რატომ დღეს სამხედრო ტყვეებს არავინ დახმარებას არ უწევს, არავინ მას ყურადღებას არ აქცევს, ეს ხალხი, ათას გაჭირვებაში გამოვლილი, დღეს მოდის [illegible], — მშიერი, შიშველი. ეს ის ხალხია, რომელიც რუსეთის აწ განსვენებულმა თვითმპყრობელმა მთავრობამ 1914—15 წლებში გაგზავნა დასავლეთის ფრონტზე და სისხლს აღვრევინებდა.

ეს ხალხი თქვენი შვილებია, ძმებია, მიაქციეთ მათ ყურადღება. ამასთან, საჭიროა არის საქართველოს მთავრობამ გაგზავნოს წარმომადგენელი ადესაში და ნოვოროსიისკში და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ქართველ სამხედრო ტყვეებს. ამ ზემოხსენებულ ორ ქალაქში თავს იყრის დიდძალი ქართველი სამხედრო ტყვეები და დიდ გაჭირვებასაც განიცდიან.

გემების მიმოსვლა ძლიერ შეფერხებულია და ტყვეებს დიდხანს აჩერებენ. საჭიროა ამის შესახებაც ძლიერ შუამდგომლობა საქართველოს მთავრობამ სადაც ჯერ არს.

ტყვეობიდან ახლად დაბრუნებული ერან გეგეჭკორი.

## ბათუმში და აჭარაში

ფოთი, 6 ნოემბერი.

ბათუმიდან ჩამოსული შემდეგს გადმოგვცემს: ბათუმში ამ ჟამად დგას მოკავშირეთა სამი სამხედრო გემი. მოელიან კიდევ ახალ გემებს.

ბათუმის ოსმალთა გარნიზონში დეზერტირობამ იჩინა თავი, რაც დღითი დღე ძლიერდება.

სატუსაღოები [illegible]ლებით.

ქალაქში [illegible] „ხმუსლიმანი საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის“ პროკლამაციებს. ეს მოწოდება აჭარლებში დიდს გამოძახილს პოულობს. „ზოგი პური მარგებელია“, — ეს სიტყვები სწორეთ აჭარლებზეა გამოთქმული: ესლა მათ კარგათ იციან, ვინ არის მათი მტერი და მოყვარე.

ბათუმში არსებული რუსთა ეროვნული საბჭო აჭარლებში პროპაგანდას ეწევა, ცდილობს მოკავშირეებთან მოლაპარაკება გამართოს და დაარწმუნოს ისინი, რომ ბათუმი რუსებს უნდა დარჩეს.

## საორგანიზაციო საკითხის გარშემო

**სოც.-დემ. „გუმეტის“ განცხადება.**

მუსულმან სოც.-დემ. „გუმეტის“ გაზეთი „პრომიშლენნიკ“ შემდეგს სწერს: „3 დეკემბერს შესდგა შეერთებული სხდომა თფილისის სოც.-დემ. ხელმძღვანელ ყველა ორგანოებისა, რომელმაც განიხილა საკითხი საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის დაარსების შესახებ.

„ყოველ-მხრივ დასაბუთებული მოხსენების შემდეგ, რომელიც ნოე ჟორდანიამ გააკეთა, გაიმართა ცხარე კამათი. მონაწილეობა მიიღეს კამათში როგორც ოპოზიციის ამხანაგებმა, რომელნიც აკრიტიკებდნენ ს. დ. უკანასკნელი მეორე ყრილობის დადგენილებას, საქართველოს სოც.-დემ. პარტიის დაარსების შესახებ, ისე ამ დადგენილების მომხრე ამხანაგებმა. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ყრილობის გადაწყვეტილების მომხრეთა რეზოლუცია. ოპოზიციის წარმომადგენლებს ჩვენი „გუმეტის“ წარმომადგენლის გარდა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ, რაც იმით დაასაბუთეს, რომ ეს საკითხი ჯგუფებში არ გარჩეულა და ამის შესახებ გადაწყვეტილება გამოტანილი არ არისო.

ჩვენმა წარმომადგენელმა ხმა მისცა რეზოლუციას, ვინაიდან მასში ჩვენ ვხედავთ გაერთიანებისკენ გადადგმულ რეალურ ნაბიჯს, რასაც ჩვენ ვამბობდით დეკლარაციის დამატებითი განცხადებაში.

**სომხური სოც-დემ. სექციის მიმართვა.**

ერევნის სოც.-დემ. სომხურ „კაიწ“-ში დაბეჭდილია შემდეგი მიმართვა: „ყველა ორგანიზაციებს და ამხანაგებს, რომელნიც სომხეთში მუშაობენ. ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. პარტიის საოლქო კომიტეტთან პარალელურათ მომუშავე სომხური სექცია აუწყებს პარტიულ ამხანაგებს და ორგანიზაციებს, რომ ამ ჟამად სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებში მომქმედი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა გადადის სომხეთის ს. დ. საორგანიზაციო ბიუროს ხელში, რომელიც რესპუბლიკის საზღვრებში იქნება. უზენაესი ორგანო და რომელსაც უნდა მიმართონ ყოველგვარი საკითხების შესახებ“.

## გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოს პრეზიდიუმი ნ. ჟორდანიასთან

ტფილისი. 7 დეკემბერს, მუშათა დეპ. საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ინახულა გერმანიის ჯარისკაცთა საბჭოს მთელმა პრეზიდიუმმა და გერმანელ ჯარისკაცთა სახელით მადლობა გადასცა ქართველ ხალხის მათდამი მეგობრულ დამოკიდებულებაზე და იმ რეზოლუციის გამო, რომელიც მუშათა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიიღეს გერმანიის რევოლუციის შესახებ. პრეზიდიუმმა გამოსთქვა იმედი, რომ ის კავშირი, რომელიც აქ დამყარდა ქართველ ხალხსა და გერმანელ ჯარისკაცთა შორის, მომავალშიც დაურღვეველი იქნება. ნოე ჟორდანიას საპასუხო სიტყვის შემდეგ პრეზიდიუმმა სთხოვა მადლობა გადაეცა მუშ. საბჭოსთვის. გამოეთხოვა და განაცხადა, რომ გერმანიის უკანასკნელი ჯარი გემ „გენერალით“ 13 დეკემბერს გავა ფოთიდან. (საქ. დემ. სააგ.).

## უკრაინაში

ადესის 24 ნოემბრის გაზეთებში აღწერილია იმ ბრძოლის ამბები, რომელიც ამ ჟამად უკრაინაში სწარმოებს პეტლიურასა და გეტმანის ჯარებს შორის. ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო.

მოელიან ადესის, კიევის და ხარკოვის მოკავშირეთა ჯარების მიერ ოკუპაციას.

იასიდან (რუმინია) შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენელთა თავმჯდომარემ შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობებს შემდეგი რადიო-დეპეშა გაუგზავნა 21 ნოემბერს: „საჭიროდ ვცნობთ გაუწყოთ, რომ უკრაინის შოვინისტებმა აჯანყება მოაწყვეს, რომელსაც მიემხრნენ ანარქისტები და ბოლშევიკთა „ბანდები“. საჭიროდ მიგვაჩნია მოკავშირეთა ჯარები წავსწიოთ ადესისაკენ,

მოვახდინოთ კიევის და ხარკოვის ოკუპაცია და დეკლარაციით ვაუწყოთ ყველას, რომ რუსეთში ჩვენ მხარს დავუჭერთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც წეს-რიგს მოიხრავა".

უკრაინის მთავრობასთან მყოფმა შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელმა ოფიციალური ცნობა მიიღო, რომ მოკავშირეთა ჯარები ქმერინკისა და ფისტოვის მიმართულებით მიიწევენ.

კიევში მიიღეს შემდეგი რადიო: ინგლისის მთავრობამ უბრძანა ადმირალ სეიმურის გასცეს მან ბრძანება იასიდან, რომ რუმინიის ჯარები ქმერინკისაკენ დაიძრას.

## აგიტაცია საქართ. წინააღმდეგ დონსა და ყუბანში

(ცნობა ფოთიდან)

რუსეთიდან ჩამოსულნი შემდეგს გადმოგვცემენ:

მთელს დონისა და ყუბანის ოლქებში გაცხარებული, სიძულვილით აღსავსე აგიტაცია სწარმოებს საქართველოსა და „მოღალატე" ქართველების წინააღმდეგ.

ეს აგიტაცია გახშირდა და ფართო ხასიათი მიიღო განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დღეებში. თფილისიდან ჩამოსული „გენერალური შტაბის პოლკოვნიკი" თხზავენ საშინელ შემაძრწუნებელ ცნობებს ქართველთა და სომხებს შორის „ხოცვა ჟლეტის" შესახებ, რუსების დევნასა და ჟლეტაზე, რუსი ოფიცრებისთვის გამზადებულ კონცენტრაციულ ბარაკებზე და სხვა.

ეკატერინოდარში, ნოვოროსიაში და ტუაპსეში სხვადასხვა ფურცლები, მოწოდებები, პლაკატები შავრაზმული გაზეთები, კრებები მოუწოდებენ „ჯვაროსნულ ომისთვის" საქართველოსთან, რომელიც უნდა დაისაჯოს მკაცრათ და ირწმუნებიან ამასთანავე, რომ მოკავშირენი ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ მათ ამ საქმეში.

გაკრულია მოხალისეთა ჯარის განცხადებანიც, სადაც ლაპარაკია საქართველოსთან ომზე, რომლის წინააღმდეგ მოკავშირენი მიაწოდებენ მას საჭირო სატრანზიტო და სამხედრო გემებს და ავტომობილებს და სხვას.

როცა მოხალისეთა ჯარის ოფიცრები შეხვდებიან სამშობლოში მიმავალ ქართველებს, შემდეგი სიტყვებით ისტუმრებენ: „მოიცათ, მალე ვიქნებით თფილისში და მაშინ ნახავთ თქვენ სეირს თქვენი გენერლებით, ჟორდანიებით და რამიშვილებითო".

განსაკუთრებით ვერ იტანენ გეგეჭკორს...

საქართველო—ყუბანის საზღვარზე ყოველ დღე მეტი და მეტი ლრუბლები გროვდება.

ჩვენი ჯარის სულიერი მდგომარეობა ქ. ყუბანის მოსაზღვრე ადგილებში საუკეთესოა. ჯარისკაცებმა მშვენივრათ იციან, რომ მოხალისეთა მოხალისეთა ჯარის თავდასხმა და მზათ არიან ამისთვის კიდეც. ისინი ღრმად არიან დარწმუნებული იმაში, რომ როგორც კი ომი დაიწყება მოხალისეთა ჯართან, მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი აღსდგება და მიაშველებს მათ თავის ყველა ძალებს.

დაუყოვნებლივ საჭიროა სხვათა შორის მთავრობამ საჩქარო და ენერგიული დიპლომატიური ზომები მიიღოს მოკავშირეების წინაშე ყუბანის შავრაზმელების წინააღმდეგ, რომელნიც ეკზეკუციით და სხვა „მეღნიერებით" აპირობდნენ გამოლაშქრებას საქართველოსკენ, ყოველ დღე მოსალოდნელია კონტრ რევოლიუციონერების თავდასხმა..

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

8 დეკემბერი.

### ინგლისის პრესის ცნობები.

8 დეკემბ. ოსმალეთმა სამხედრო გემები მოკავშირეთ გადასცა. გებენი, 4 გერმანული წყალქვეშა ნავი და რუსეთის შავი ზღვის ფლოტი მოკავშირეთა ხელში გადავიდა.

ენში ჩერჩილმა სთქვა, რომ ბრიტანიის წარმომადგენელნი საზავო კონფერენციაზე მოითხოვენ მთელ ევროპაში რეკრუტის სისტემის გაუქმებას.

ლოიდ ჯორჯი პოლიტიკურ მიმოხილვაში ამბობს: „კაიზერი სასამართლოს უნდა გადაეცეს. ის პასუხისმგებელია თავის ნებით ომის გამოცხადებაში და ბელგიაში შეჭრის გამო. საზავო კონფერენციაზე მთავრობამ უნდა მოითხოვოს, რომ სამართალში მიეცეს აგრეთვე წყალქვეშა ნავების უფროსნი და ის სამხედრო პირნი, რომელნიც სასტიკათ ეპყრობოდნენ ტყვეებს.

როგორც გერმანიიდან იუწყებიან, ბერლინში ბოლშევიკური გამოსვლა მოხდა; ქუჩებში შეტაკებები იყო.

მოკავშირეთა ჯარი რეინისკენ წინსვლას განაგრძობს.

ესტონიის მთავრობის თხოვნით ინგლისის ფლოტმა დაიპყრო რეველი, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ბოლშევიკებს, რომლებიც მცხოვრებლებისადმი დიდ სისასტიკეს იჩენენ.

ლორდ რობერტ სესილი საზავო კონფერენციას დაესწრება, როგორც ხალხთა ლიგის ინგლისის სექციის თავმჯდომარე.

პრეზიდენტმა ვილსონმა კონგრესის გახსნისას იმედი გამოსთქვა, რომ ზავი დამყარდება გაზაფხულზე.

სასურველად იქნა აღიარებული ახალი საზღვაო პროგრამის შედგენა, რადგანაც უგუნურობა იქნება, რომ ყველაფერი შეუთანხმოთ ამერიკის მომავალ მსოფლიო პოლიტიკას, რომელიც ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

### ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 7 დეკემბერი. დანიასთან ხელშეკრულების თანახმად, ისლანდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. პეტროგრადიდან დანიის ელჩმა სტოკჰოლმში დეპეშა გაუგზავნა გერმანიის ელჩს, რომ მოსკოვიდან მოსულ ცნობის თანახმად გერმანიის მთავრობამ იცნო გერმანიის დეპუტატთა საბჭოები მოსკოვში და პეტროგრადში ავტონომიურ ორგანიზაციათ და გადასცა მას ყოველგვარი რწმუნებულება. დანიის მთავრობა უჩივის, რომ დეპუტატთა საბჭოების აღიარება დიდ მავნებლობას მოიტანს, რადგან დეპუტატთა საბჭოები რუსეთის საბჭოთა მთავრობის ზეგავლენის ქვეშ არიან. რევოლიუციონური ფრონტი. ოსინის მიმართულებით განვაგრძობთ წინსვლას, კუნგურის და კრასნოუფიმის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სოფელი საია და ბერიოზოვკა. კუშინის მიმართულებით მტერმა ჩვენს ჯარს უკან დაახევინა. კურსკი, 6 დეკ. სკოროპადსკის ჯარის ახალმა უფროსმა თავად დოლგორუკიმ გამოსცა ბრძანება, რომ ყველა ის ოფიცერი, რომელიც არ გამოცხადდება, დასჯება სიკვდილით. კიევიდან იუწყებიან, რომ დენიკინის მოწინავე რაზმები სკოროპადსკის ჯარს შეუერთდა და ერთად მოქმედებენ აჯანყებულთა წინააღმდეგ. მოსკოვი, 7 დეკემბერი. ნარვა, 5 დეკემბერი. თეთრგვარდიელების ჩვენ მხარზე გადმოსვლა გახშირდა. გერმანელი ჯარისკაცები უარს ამბობენ თეთრგვარდიელთა დახმარებაზე. ნარვასთან ბრძოლის დროს განაცხადეს, რომ შინ დაბრუნება სურთ. თეთრგვარდიელებთა მთავარ ძალებს შეადგენს ჯარში გაწვეული ესტონელი გლეხები. ნარვაში იხსნება რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ბანკის განყოფილება. ხრედინა ბუდა. 5 დეკ. გერმანელები თანდათან გადიან გლუხოვიდან. მათთან ერთად მიდის ადგილობრივი ბურჟუაზია, რომელსაც ახლო მყოფ აჯანყებულ ბოლშევიკების ეშინია. პეტლიურას ჯარმა დაიპყრო რკინის გზა კონოტოპიდან ტერეშჩენსკაიამდე და გაიდამაკელებს იარაღი აჰყარა. კონოტოპს და ხარკოვის შუა მიმოსვლა შეწყვეტილია, რადგან სუმაში თეთრგვარდიელთა ძლიერი რაზმია დაბანაკებული. პეტლიურას ჯარმა ტელუკი და ელისავეტგრადი დაიპყრო.

9 დეკემბერი.

### გერმანული პრესის ცნობები.

გერმანიის რწმუნებული ესტლანდიაში იუწყება. 13 ნოემბ. პროვინციის მართვა-გამგეობა ესტონელებს გადაეცა, რადგან ცნობა მიღებული ბალტიის გერმანელთა საშიშ მდგომარეობის შესახებ, მე განკარგულება გავეცი მათი სიცოცხლის უზრუნველსაყოფათ. ნარვის ფრონტზე სამხედრო მოქმედებამ და ვეზენბერგ-ლოგუზის ხაზზე გერმანიის ჯარების უკან დახევამ ახალი მდგომარეობა შექმნა. 30 ნოემ 7 სამხედრო ერთეულისაგან შემდგარმა რუსის ფლოტმა ნარვის და მის მიდამოებს დიდი სროლა აუტეხა. ესტლანდიის მთავრობასთან შეთანხმება მოხდა. ესტლანდელნი მიიღებენ იარაღს და სხვა სამხედრო მასალას, აგრეთვე მილიონ ნახევარს ყოფილ მართველობის მიერ დარჩენილ ფონდიდან. ესტონელთა აზრით, ბოლშევიკების მხრით საშიშროება არ არის. ბალტიის მხრის გერმანელებს საშიშროება მოელის თუ დარჩა ესტონიის მთავრობა და ბოლშევიკურ მოძრაობას ხელი შეუშალეს. არმიის დაბრუნების უზრუნველსაყოფათ, მე ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან და ქვეითი ჯარის მთავარსარდლობასთან შეთანხმებით, მივმართე მოხალისეთა ჯარის ორგანიზაციებს.

გეტინგენში თავი მოიკლა დ-რ ლეისტმა. თავის მოკვლის მიზეზია გერმანიის უიმედო მდგომარეობა. პროფესორი ლეისტი გეტინგენის უნივერსიტეტში იურისპრუდენციის პროფესორად ითვლებოდა და 56 წლის იყო.

ჰუნგრეთში დროებითი ზავის პირობების ცხოვრებაში გასატარებლათ გაგზავნილ საფრანგეთის სამხედრო კომისიის უფროსმა ობერ-ლეიტენანტმა ვიქსმა უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტს გრაფ კაროლის მოსთხოვა, რომ სლავიანთა ოლქებიდან გაიყვანონ უნგრეთის ჯარი. მინისტრ-პრეზიდენტმა კაროლიიმ ბრძანება შეასრულა, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, მხოლოდ პროტესტი განაცხადა დროებითი ზავის პირობების ამ გვარათ განმარტების გამო. კაროლიის აზრით ასეთი მოქმედება არ ეთანხმება ხელშეკრულების პირობებს და მოითხოვს გაიგზავნოს შერეული საგამომძიებლო კომისია საქმის ნამდვილ მდგომარეობის და დროებით ზავის ხელშეკრულების პირობათა დარღვევის გამოსარკვევათ.

### ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 8 დეკემბერი. დასავლეთის ფრონტი. ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. სამხრეთის ფრონტი. ლისკის ჩრდილოეთით მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა. ბალაშოვის სამხრეთით ჩვენი ჯარი მტერს სდევნის. ნიკოლაევკასთან გამარჯვების შემდეგ, კამიშინის სამხრეთ დასავლეთით, ეროვსკა-ივგოლინაია ლიპოვკას რაიონის დასაჭერათ ბრძოლა სწარმოებს. აღმოსავლეთის ფრონტი. სოფელი პონომარევო ბრძოლით დავიჭირეთ. ბუზულუკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. მოწინააღმდეგე ტეპანოვკისკენ და ბლაგოდარნისკენ გავდევნეთ. სარაპულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. მდინარე ტიზს და ბუგის მარჯვენა ნაწილს დაუახლოვდა და დაიკავა სოფელი ბური და სარაპულკა. ოსის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა რაზმმა დაიჭირა კამის მარჯვენა ნაპირი. კუშინის მიმართულებით დიდი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მტრის პოზიცია დაიჭირა. კურსკი. 5 დეკემბერი. ხარკოვის გაზ. „ნაშ გოლოს" იუწყება, რომ პეტლიურას ჯარმა დაიჭირა კოსაია გორა, რადატოვოლოვკა, სლოლბუნოვო, მირგოროდის ბანიარკა, პირიატინი და ბახმუტი. ხელთ იგდო მრავალი იარაღი და ტყვე. ხარკოვის სადგურზე სროლაა გეტმანის და პეტლიურას ჯარს შორის. გერმანელები ნეიტრალიტეტს იცავენ. გუშინ ხარკოვში მოხდა პირველი საბჭოს სხდომის გახსნა. უკრაინის დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების წარმომადგენლებმა ბოლშევიკების პოზიცია მოიწონეს, ხოლო ტაქტიკურ მოსაზრებით მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ პეტლიურას ჯარს გეტმანის წინააღმდეგ ბრძოლაში და შემდეგ დაამყარონ საბჭოთა მთავრობა. უკრაინის და რუსეთის მენშევიკებს საჭიროთ მიაჩნიათ ყველა მომქმედ ძალების შეერთება ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველათ. საბჭოებს ისინი სცნობენ მხოლოდ როგორც მუშათა მასის ორგანიზაციების ისეთ ცენტრათ, რომელმაც ძალა უფლება უნდა აიღოს ხელში. კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო კომუნისტების რეზოლიუცია. უკრაინელებმა პროტესტი განაცხადეს საბჭოს პირველი სხდომის გარეკის გამო. 2 დეკემბერს ხარკოვის ყველა ქარხნებში მთელი დღე გაფიცვა იყო, რომელიც მხოლოდ გუშინ შესწყდა საბჭოს განკარგულებით. პსკოვი. 7 დეკემბერი. რუსეთის № რის არმიის მარცხენა ნაწილის წითელმა ჯარმა 6 დეკემბ. სადგურ გუსაროვს და სოფ. კოპტას მიაღწია. 7 დეკემბერი. სადგურ ნეიგაუზენის აღების დროს ჩვენ წავიყვანეთ ტყვეთ 40 გერმანელი და თეთრგვარდიელი. იურიევში თავს იყრიან თეთრგვარდიელნი.

სტოკჰოლმი. „კრასნაია ზნამია" იუწყება, რომ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარი ქალაქ ტორნს გარს შემოერტყა და წითელი დრო შების ჩამოხსნა მოითხოვა, ლეიპციგის საბჭო მოითხოვს ჰინდენბურგი და ყველა კონტრ-რევოლიუციონერი ოფიცერი დაუყონებლივ დააპატიმრონ და გადამწყვეტი ზომები მიიღონ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. ბერლინში სპარტაკის ჯგუფის მიერ მოწვეულ სამხედრო ქარხნების მუშათა კრებაზე, ლიბკნეხტმა სიტყვა წარმოსთქვა. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს შეიდემანის, ებერტის და დავიდის მთავრობიდან გადაყენებას. ბავარიის მთავრობის ბრძანებით ბავარიის ახალ ლანდტაგის არჩევნები 12 დეკემბრისათვის დაინიშნა. დროებითი ზავის გერმანული კომისია იუწყება, რომ მოკავშირეებმა უარი სთქვეს მაკენზენის არმიის დაკავებაზე. ბერლინი, 5 დეკ. რეინის მარცხენა მხარეზე მდებარე მთელი ოლქი ელზას-ლორენის მაგვარათ მოკავშირეებმა სრულიად მოსპოს დანარჩენ გერმანიას.

## ახალი ამბები

ოსმალთა სანიტარო მატარებლის დამსხვრევა. რკინის გზათა გენერალ-გუბერნატორმა სადგურ მოლითის უფროსისაგან 7 დეკემბერს შემდეგი დეპეშა მიიღო: დღის 14 საათსა და 30 წუთზე სადგურ წიფადან გამოსული, ბათომისაკენ მიმავალი ოსმალთა სანიტარო მატარებელი № 005, 23 ვაგონისა და 2 ორთქლმავალისაგან შემდგარი, მემანქანის მიერ გაშვებული ძლიერი ორთქლისაგან, რომლის შეკავება ვერ შესძლეს, ლიანდაგს გადასცდა და დაიმსხვრა. ერთი ორთქლმავალი და 15 ვაგონი დაიწვა, ხოლო მეორე ორთქლმავალი და 7 ვაგონი ძლიერ დაზიანდა მაზუთის ქვაბის აფეთქების გამო. ბევრია მოკლული და დაჭრილ-დაშავებული; მათი რიცხვი გამოურკვეველია. ლიანდაგი დაზიანებულია 40 საჟენზე. მატარებელთა მიმოსვლა ორი დღე-ღამით შეწყდება. გაგზავნილია მატარებელი და სამედიცინო პერსონალი. მატარებელზე მთელი ბრიგადა ოსმალ ებისა იყო. გენერალ გუბერნატორმა ეს ამბავი მთავრობის თავმჯდომარეს, გზათა, სამხედრო, შინაგან და გარეშე საქმეთა მინისტრებს აცნობა. გამოძიება სწარმოებს.

მოლითიდან მიღებულ დამატებითი ცნობებით, მატარებლის დამსხვრევის დროს მოკლულია 120 და დაჭრილი 130 კაცი.

მთავრობაში. 5 დეკემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: მიენდოს იურიდიულ კომისიას მთავრობის იურისკონსულტის მონაწილეობით განიხილოს აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულების პროექტი, სახელმწიფო უფლების მხრივ, რათა ყველა იურიდიული მხარეები ამ საკითხისა ნათლად მოხსნილ მთავრობას შემდეგ სხდომაზე. მიღებულ იქნას კანონ პროექტი აქციზისა ღვინოზე.

სახალხო გვარდიის პირველი საკვირაო დღეგო გამოსვლის აღსანიშნავად, იმ ძალთა წინააღმდეგ, რომელნიც ლამობდნენ ანარქიაში გაეხვიათ ჩვენი ქვეყანა, რომელსაც შედეგად მოჰყვა 12 დეკემ., 1917 წელს გვარდიის მიერ არსენალის დაპყრობა და ამით საძირკველი ჩაეყარა დემოკრატიულ რესპუბლიკას, აღიარებულ იქნას სახალხო გვარდიის დღე, 12 დეკემბერი ამა წლისა საერთო უქმე დღედ საქართველოს რესპუბლიკაში.

სარკინიგზო კონვენცია. ამ დღეებში თფილისში ჩამოდის აზერბეიჯანის რკინის გზის კომისია, რომელიც კონვენციას შეკრავს საქართველოს რკინის გზებთან სამგზავრო მატარებლების ბაქოდან თფილისამდე, პირდაპირი მიმოსვლის აღსადგენად.

გზათა სამინისტრო ატყობინებს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ რკინის გზებზე სანაინსა და შაგალს შუა მატარებლების მოძრაობა ხდება უწესრიგოთ რადგან სად. კალაგერანში დგას სომეხთა ჯარები. გზათა სამინისტრო სთხოვს გარეშე საქმეთა სამინისტროს საქმის გამორკვევას და მატარებლების მოძრაობის მოწესრიგებისათვის ზრუნვას.

ხომეხი ლტოლვილები. მანგლისიდან იტყობინებიან, რომ იქიდან ბეშქაშენდში გაუგზავნიათ 300 ლტოლვილი.

მილიციის უფროსის ბრძანება. რადგან ამ ბოლო ხანებში მეტად გახშირდა ტიფით ავათმყოფთა რიცხვი, ამისთვის მილიციის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ მილიციელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აბანოებს და ნახმარი ტანისამოსების გამყიდველთ, რომ უკანასკნელთ არ მისცენ გაყიდვის უფლება თუ მათ არ ექნებათ ნებართვა ქალაქის სადეზინფექციო კამერისაგან.

კოოპერატივთა კავშირის გაქურდვა. 9 დეკემბერს, ღამით ბოროტ-გამზრახველებმა გასტეხეს კოოპერატივთა კავშირის მაღაზია (მიხეილის ქუჩა 18 ნომერი) და კასიდან წაიღეს 150,000 მანეთი.

გაძარცვა. 8 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ლოლიანცის ფურნეში (ლოტკის ქუჩა 13 ნომერი) შევიდნენ ბოროტგამზრახველები და გაიტაცეს 4,0000 მანეთი. ეჭვით შეიპყრეს მ. ვარძელაშვილი, ა. ცქიტიშვილი და ა. ქათანიშვილი.

ლექცია. დღეს, 19 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) ექ. მაისურაძისა „ანატომია", 2) ექ. ტურიაშვილისა—„ჰიგიენა".

სახალხო გვარდიის დღისთვის. პრეზიდიუმი მე-6 რაიონ. კოლექ. სთხოვს იმ წევრებს, რომლებსაც სურვილი აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახალხო გვარდიის დღესასწაულში, გამოცხადდნენ ორთაჭალის რაიონულ შტაბში სახალ. გვარდიისა, დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

სახალხო სახლში ქარ წარმოდ. მმართ. წრე 12 დეკემბერს „გვარდიის დღის" აღსანიშნავად მართავს ინტერნაციონალურ საღამოს, შემდეგის პროგრამით: 1) სიტყვა ალ. ლომთათიძისა, 2) ქართ. წარმოდგენა „მსხვერპლი"-ს პირველი მოქ., 3) რუსული წარმოდგენა, 4) სომხური წარმოდგენა. დასასრულ აპოთეოზი.

მისაბაძი მაგალითი. წ.-კ. გ. საზოგადოების ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდიანტმა იოსებ გ. ავალიშვილმა წლის განმავლობაში სრულიად გადაიხადა სასტიპენდიო ვალი 1050 მანეთი.

ყარაიაზში უმიწაწყლოთა დამსახლებელი კომისია აცხადებს, რომ უკეთუ კვირიდან ოთხშაბათამდე (11 დეკემბერი) არ ჩავლენ ყარაიაზში, ს. ერთობაში დასასახლებლათ ის პირნი, რომელთაც მიწები დაიკავეს, შემდეგ ეს მიწები სხვებს გადაეცემა. ს. ვოვციოვკაში ჩასასახლებელნი კი უნდა გამოცხადდნენ სოფ. ერთობაში 10 დეკემბრამდე.

### პროვინციის ქრონიკა.

ხონაქის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მაზრაში წვრილი საერობო ერთეულების არჩევნების დღედ დანიშნულია 3 იანვარი 1919 წ. ძველი სტილით. საერობო ერთეულებად მიღებულია არსებული სასოფლო-საზოგადოებები. პარტიების თუ ჯგუფებისაგან ხმოსნების კანდიდატთა სიებს საზოგადოებათა საარჩევნო კომისიები მიიღებენ 2 იანვრამდე 1919 წ.

## ჩრდილო-კავკასიაში

ამ დღეებში ჩრდილო-კავკასიიდან ჩამოსულმა ამხანაგმა შემდეგი გადმოგვცა იქაური ამბების შესახებ:

„ჩრდილო-კავკასიაში ამ ბოლო დროს ბრძოლამ მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკებს ეტყობათ სულიერი აღმაღლება და უფრო გაბედულათ იბრძვიან, რადგანაც გერმანიის რევოლიუციის იმედი აქვთ. სულ 7 ფრონტია იქ. ბრძოლა სწარმოებს დენიკინის და შკურას წინააღმდეგ. მეორე მოწინააღმდეგე ბოლშევიკებისა არის მოზდოკის მთავრობა. ამ უკანასკნელზე ბოლშევიკებმა რამდენიმე გამარჯვება ჰპოვეს. მათ აიღეს გროზნო, პროხლადნაია და მოზდოკი. მოზდოკის მთავრობის სამხედრო ძალას უმთავრესად ყაზახობა შეადგენს, [illegible] პლინობაა. აგრეთვე [illegible] მოზდოკის აღებ[illegible] დალმა თავი მოიკლა. ბოლშევიკებს კავკასიონზე კავშირი აქვთ. კავშირი მოსკოვთან არა აქვთ, გარდა იმისა, რომ დელეგაცია და კურიერები მიდი-მოდიან. მოსკოვი მათ ფულით ეხმარება. ბოლშევიკებს აგრეთვე ცუდი დამოკიდებულება აქვთ ინგუშებთან და ჩრდილო-კავკასიის მთიელთა რესპუბლიკასთან. მათში ტამანის არმიას ძლიერი გავლენა აქვს. საოლქო სახალხო საბჭოს თავმჯდომარედ კავკავში არის ახმედ ცალიკოვი. კავკავის „სოვდეპის" თავმჯდომარე სერ. ქავთარაძეა. საშა გეგეჭკორიც იქაა. ბოლშევიკები აცხადებენ, რომ შაუმიანი და ჯაფარიძე ცოცხლები არიანო.

ბოლშევიკების ჯარი უმთავრესად შესდგება ეკატერინოდარის და სხვა გუბერნიათა გლეხებისაგან, რომელთაც მიწის შერჩენა ამოძრავებთ".

## მილოცვები საქართველოს მთავრობას

თფილისი. 7 დეკემბერი. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პარლამენტის და მთავრობის თავმჯდომარეთ: კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა, რომელიც დღეს გაიხსნა ნავთლუღში, მედგრათ სწევს თავის თავს მოგესალმოთ თქვენ, საქართველოს წინამძღოლთ, და გულ-მხურვალეთ მოგილოცოთ დამოუკიდებელ საქართველოს ქვეყნის თვის დღესასწაული. კახეთის რკ. გზის დემოკრატია თქვენთან ერთად განუსაზღვრელ სიხარულს განიცდის დღეს და ფიცსა სდებს, რომ პირნათლად შეასრულებს ყოველივეს, რასაც მას დემოკრატიის საკეთილდღეოდ დაავალებს მისი ბელადები. ყრილობა ღრმად დარწმუნებულია, რომ თქვენ, ადეკვატური საქართველოს ერის და განსაკუთრებით მისი დემოკრატიის სრული ნდობით, როგორც ბრძენი და გამოცდილი წინამძღოლნი, უტყუარის გზით წაიყვანთ საქართველოს დემოკრატიას აღთქმის ქვეყნისაკენ, რომელსაც ჰქვია სოციალიზმი. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს. გაუმარჯოს მის დემოკრატიას. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიის წინამძღოლთ".

ყრილობის თავმჯ. ხვიმონ ჯუღელი.

## რუსეთის ცხოვრება

### მოსკოვის საბჭოში.

მოსკოვის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე პროფესიონალური საბჭოების, სამხედრო კომისარიატის და რაიონული საბჭოების წარმომადგენლები, არჩეოდა საკითხი სამხრეთის ფრონტის გამაგრებისა და გაძლიერების შესახებ.

კამენევმა აღნიშნა, რომ სამხრეთის ფრონტის ამბები პირდაპირ მოსკოვს ეხება და იგი მოვალეა უმთავრესათ ამ ფრონტს ემსახუროს. „საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით სამხრეთის ფრონტი—სთქვა კამენევმა—დღეს არის გასაღები საერთაშორისო რევოლიუციისა. გამარჯვება იქ—პირველი და აუცილებელი პირობაა რუსეთის და მსოფლიო რევოლიუციის განვითარებისა".

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ტროცკი, რომელიც კურსკიდან დაბრუნდა. „ამხანაგებო,—სთქვა ტროცკიმ—სამხრეთის ფრონტს განსაკუთრებული თვისებები აქვს, ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ფრონტებთან შედარებით, ამ უკანასკნელებზე ჩვენ შევქმენით არმია, იქ მიდიოდენ სხვადასხვა ნაწილები, იღებდენ გამოცდილებას და ექვემდებარებოდენ განსაზღვრულ რეჟიმს.

მართალია, იყო იქ უწესობა, უდისციპლინობა, პანიკა, გაუმაძღრობა და სხვა, მაგრამ ეხლა ყველაფერი ეს ამ ფრონტებზე დაძლეულია. სულ სხვაა სამხრეთის ფრონტი. იქ იმ თავითვე ბევრი გამოცდილი მეომრები იყო, უანგარო მოღვაწეები და გმირები, მაგრამ იქ უორგანიზაციო მოქმედებებიც იყო და აგრეთვე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით მას. ჩვენ დიდი ხანია მოვსპობდით კრასნოვის და სხვა შავრაზმელ გენერლების ბანდებს, რომ ის ფრონტი სავსებით მოწესრიგებული იყოს. იქ უნდა გავგზავნოთ საუკეთესო პარტიული ამხანაგები, რომლებთაც ხელმძღვანელად ეყოლებათ პოლიტიკური კომისარი. ჩვენ გვინდა მტკიცე ამხანაგები. ამის გულისთვის მე მოვედი აქ და ამავე მიზნისთვის შემოვდივარ პეტროგრადში. თუ მოსკოვი და პეტროგრადი მოგვცემენ პარტიულ ამხანაგების საჭირო რიცხვს, მაშინ ჩვენ სამი კვირის შემდეგ შევძლებთ ავიღოთ როსტოვი და ნოვოჩერკასკი. სამხედრო ძალები ჩვენ ბევრი გვყავს, საჭიროა მხოლოდ ერთიანი სარდლობა".

დადგენილ იქნა, რომ სამხრეთ რუსეთის ფრონტი,—ეს პროლეტარიატის ფრონტია, რომელსაც დიდი დახმარება სჭირია.

# იუსტიციის სამინისტროში

**ახალი კრედიტები.**

იუსტიციის მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე 50 000 მან. კრედიტის გახსნის შესახებ სხვადასხვა სახელმძღვანელოების და კანონთა კრებულების საშეძენად და 3.000 მან. კრედიტისა გამომძიებელთა ერთის თვის კურსების მოსაწყობად.

**განქორწინების პროექტი.**

განქორწინების პროექტი, განხილული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ, წარედგინა მთავრობას.

**ახალი განწესებანი.**

თანახმად იუსტიციის სამინისტროს მიწერილობისა, ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ და პროკურორმა წარმოუდგინეს სამინისტროს კანდიდატთა სია ბრალმდებლის ამხანაგების და სასამართლოს გამომძიებელთა თანამდებობაზე. ხსენებულ სასამართლოს გამომძიებელთა სათანადო განწესებანი ამ დღეებში გადაწყდება სამინისტროში.

**სასამართლოს წესის გარეშე დატუსაღებულთა საქმეების გამომძიებელ კომისიაში.**

სასამართლოს წესის გარეშე დატუსაღებულთა საქმეების გამოსარკვევათ დანიშნულ საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა იუსტიციის მინისტრს დაწვრილებითი მოხსენება კომისიის საქმიანობის შესახებ.

**ციხის უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლება.**

განთავისუფლებულია თანამდებობიდან თბილისის № 1 საგუბერნიო საპყრობილეს (ორთაჭალაში) უფროსი უშველიძე. ამავე თანამდებობაზე დანიშნულია დროებით გორის საპყრობილეს უფროსი ის. კალანდარიშვილი.

**სასამართლო დაწესებულებანი მესხეთ-ჯავახეთში.**

ახალციხე ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორმა გენ. მაყაშვილმა დეპეშით სთხოვა იუსტიციის მინისტრს განკარგულების მოხდენა იმის შესახებ, რომ ხსენებულ მაზრებში, ჩვენი ჯარების დაპყრისთანავე, აღდგენილ იქმნას სასამართლო დაწესებულებათა მოქმედება.

**სასამართლო და ადმინისტრაცია.**

იუსტიციის მინისტრის შეკითხვაზე, სასამართლო დაწესებულებათა ცნობები გამოგზავნეს იმის დასახასიათებლად, თუ რამდენათ აფერხებს სასამართლოს საქმიანობას ადმინისტრაციის ჯეროვნად მოუწყობლობა. ყველა მოხსენებანი აღნიშნულია, რომ უმთავრესი მიზეზი საქმეების გადადებისა არის უწყების ჩაუბარებლობა. თბილისის ოლქის სასამართლოში 660 საქმე გადადებულია ამ წლის განმავლობაში ხსენებულ მიზეზისა გამო, ქუთაისის ოლქის სასამართლოში ოქტომბრის და ნოემბრის განმავლობაში 142 საქმე გადადებათ.

**სასამართლო უწყების მოხელეთა შტატები.**

სასამართლო უწყების მოხელეთა ახალი შტატები განიხილა დეკემბრის 5-ს შრომის სამინისტროსთან დაარსებულმა სატარიფო კომისიამ. შტატები მცირეოდენის შესწორებით მოწონებულ იქმნა კომისიის მიერ და წარედგინა მთავრობას.

**საპყრობილეთა ინსპექცია.**

საპყრობილეთა ინსპექცია სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობაში გადავიდა.

**დუშეთის საპყრობილეს შეკეთება.**

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა საპყრობილეთა ინსპექციას, რათა სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული დუშეთის საპყრობილეს შესაკეთებლად, მანამდე კი ყველა მძიმე დანაშაულის ჩამდენნი გადმოყვანილ იქმნენ თბილისის საპყრობილეებში.

**იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში.**

იუსტ. სამინ. კანცელარიაში ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა, მხოლოდ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

## ს.-დემ. პარტიაში

**თბილისი.** 28 ნოემბერს შესდგა მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. კრებამ მსჯელობს ამხ. ნიკოლაევის შესახებ, რომელიც იშვიათად ესწრება კრებას და მასთან დიდ გულგრილობას იჩენს მუშაობაში. კოლექტივი ადგენს მის მაგიერ მოიწვიოს კოლექტივის წევრად შემდეგი კანდიდატი, ამხ. გამცემლიძე. შემდეგ კრება ისმენს წინა სხდომის ოქმს და ამტკიცებს, და გამოსთქვამს სურვილს, რომ ოქმში აღნიშნულ იქნეს, რეზოლუციებს გარდა, უმთავრესი აზრები, რომლებიც წარმოთქმულ იქნება მსჯელობის დროს და მასთან დამახასიათებელი მნიშვნელობა ექნება კითხვის რომელიმე მხარის წარმოსადგენათ. რაიონის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს მდივანი. კოლექტივი ადგენს, ვინაიდან ეს კითხვა მეტად სერიოზულია და მისი გარკვევა-გამუქება მოითხოვს დიდ დროს და მასთან დღის წეს-რიგში სხვა ურიად საჭირო კითხვებიცაა, ამიტომ კოლექტივი ამ კითხვას შემდეგ სხდომისთვის სდებს. ევალება აგრეთვე ფინანსიურ კომისიას მოხსენება გააკეთოს, თუ რა საშუალებით ფიქრობს ის რაიონის ამ მხრის გაუმჯობესებას. წევრთა რაოდენობის და მათი გაცხრილვის შესახებ მოხსენება გააკეთა მდივანმა. მან აღნიშნა გასული წლის პარტიის წევრთა რაოდენობა და მას შემდეგ მომხდარი ცვლილებები. წარმოდგენილ იქნა სია იმ წევრთა, რომლებიც გასულ წელში ირიცხებოდნენ და მიმდინარე წელს არ მოისურვეს ბარათების გამოცვლა და საწევროს შემოტანა. ამათ რიცხვში არიან აქტიური წევრებიც. იხსნება კამათი მოხსენების შესახებ, და ბოლოს კოლექტივი ადგენს: ეცნობოს ასეთ წევრებს, რომ მათ კოლექტივი აძლევს გაფრთხილებას და ხუთმეტი დღის ვადას დღიდან ამის შესახებ ცნობისა, რომ აღადგინონ ფორმალური მხარე და შემოიტანონ მათზე დარჩენილი საწევრო გადასახადი. დანიშნულ ვადის შემდეგ კოლექტივი მათ პარტიის გარეშე სთვლის და მათ სიას პარტიულ ორგანოში აქვეყნებს.

პარტიულ გაზეთების გავრცელების საკითხი კოლექტივის უმრავლესობის სურვილის თანახმად, გადადებულ იქნა შემდეგ სხდომისთვის.

შემდეგ კრება ისმენს პარტიულ ყრილობის დელეგატის ი. ირემაშვილის მოხსენებას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. გამოითქვა სურვილი, რომ მუშათა საკითხში მიღებულ იქნას გამკაცრებული ნაბიჯები იმ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც ცუდად ასრულებენ თავის მოვალეობას, რასაც სამწუხარო შედეგი მოაქვს სამრეწველო დარგებში. და ბოლოს კოლექტივი ამტკიცებს მოხსენებას (ერთმა თავი შეიკავა) და გადადის შემდეგ კითხვაზე. თბილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ი. ირემაშვილი. რამდენიმე შეკითხვა-განმარტების შემდეგ კოლექტივი ამტკიცებს მოხსენებას, მხოლოდ საარჩევნო ფონდის კითხვას ჰყოფს ცალკე კითხვად, თუ როგორ უნდა იქნას ეს სისრულეში მოყვანილი დანიშნულ დრომდის. კოლექტივი ამ კითხვის შესახებ ადგენს, დაყოფილ იქნას ჩვენი რაიონი ექვს ნაწილად და თვითეულ ნაწილში იმოქმედებენ განსაკუთრებულნი პირები: განაწილებულ იქნა შემდეგ ნაირად: 1) წნისი და ორთაჭალა—ი. შუბლაძე და ვ. ათაბეგოვი, 2) ხარფუხი—ვ. ჯორჯიაშვილი და ან. პაპიაშვილი, 3) ალექსანდრის ქარხნებში—ირ. შანიძე და დ. ბუაჩიძე, 4) ტოლეს—დოლაქიშვილი, 5) დაბახანა და აბანოები—ვ. კვიციანიძე და გრიგოლაშვილი რაჟდენ, 6) მეიდანბაზარი—დ. პაპიშვილი, გ. ინწკირველი და მ. ტერელაძე.

ზემოჩამოთვლილ პირთ ევალებათ დაჩქარებით შეუდგნენ თავის მოვალეობას, პარტიის წევრებში განსაკუთრებული ჩეკებით მოგროვებას ერთი დღის შემოსავლისა დამფუძნებელი კრების საარჩევნო ფონდის სასარგებლოთ. ამ ანგარიშის სისწორის თვალყურის დევნება დაევალა ამხ. ანდრო ვაჩიტაშვილს და მიშა ნაკაიძეს. კოლექტივის გათხოვის საქმის მოწესრიგება ენდობა ამხ. ი. შუბლაძეს. და ბოლოს ამხ. შუბლაძე აცხადებს, რომ მისი თავდებობით პარტიაში მიღებულ იქნა წევრი, რომელმაც თავის მოვალეობის ასრულების დროს უწესოება დაუშვა, ამიტომ ის უარს აცხადებს მის თავდებობაზე და მოითხოვს მიცემულ იქნას ის პირი პასუხისგებაში. კოლექტივი ანდობს ამ კითხვას პრეზიდიუმს გამოსარკვევათ. **ნ.**

## მუშათა შორის

**ბორჯომი.** სათბობი მასალის კრიზისმა აქაურ ზოგიერთ საწარმოო დარგებშიაც შეიტანა არევ-დარევა. შუშის ქარხანაში, სადაც ნორმალურ დროს მუშა ხელი დაახლოებით 600—700 კაცამდე იყო, მუშაობა სულ შეწყდა, მხოლოდ ამ ბოლო დროს იყო იმედი ქ. ბაქოდან სათბობი მასალის შეძენის, მაგრამ ჯერ ჯერობით არაფერი არ არის, ეს დარგი არ მოძრაობს და ვინ იცის კიდევ რამდენხანს გაგრძელდება. ერთი სიტყვით, თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული, სხვა წარმოებაც გაჩერდება, როგორიც არის მჟავე წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა. ადგილობრივი საწარმოო დარგები ერთმანეთზე არიან დაკავშირებული. ამის შემდეგ ცხადი არის, თუ რას უქადის ერთი საწარმოო დარგის გაჩერება მეორეს და ასეთი მოვლენა კი დიდს ზარალს უქადის საქართველოს რესპუბლიკის ღარიბ ხაზინას. საჭიროა მთავრობამ დროზე მიიღოს ზომები სათბობი მასალის მიწოდებით ბორჯომის მამულების საწარმოო დარგებისთვის. ამით წარმოებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. ერთი მხრით ბორჯომის მამულები ფინანსიურათაც გამაგრდება, მეორე მხრივ საშუალება მიეცემა მუშათა ორგანიზაციებს ორგანიზაციულად აწარმოონ მუშაობა.

აგერ რამდენიმე თვე გადის მას შემდეგ, რაც ბორჯომის მამულების მიმღებ კომისიამ დაამთავრა მამულების მიღება, მაგრამ ძველი, დიდი მთავრის ბატონობის დროინდელი საწარმოო დარგებში ზოგიერთი გამგეები ძველად განაგრძობენ სამსახურს. ეს ის გამგეები გახლავთ, რომლებიც თვითმპყრობელობის ბატონობის დროს მუშათა დატუქსვით ბატონობდნენ. ეს უკმაყოფილებას იწვევს მუშებში. ზოგიერთი გულუბრყვილო მუშები ასე მსჯელობენ: თუ ჩვენი ინტერესების დამცველი და დემოკრატიული მთავრობა არის, რათა აქვს ადგილი ასეთ პიროვნებებსო. საჭიროა მამულების გამგემ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მამულებში ასეთ მოვლენებს და შეძლების დაგვარად გამოასწოროს. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მუშები დიდათ აფასებენ მომენტს და მისი შეფარდებით მოქმედებენ. ყოველივე მუშათა კონფლიქტები გადადება მუშათა ორგანიზაციებში. ადგილობრივი მუშათა საბჭო აწარმოებს კონტროლის მოვალეობას და არავითარ ადმინისტრატიულ საქმეში არ ერევა.

ვ. მატრონეშვილი.

## პროვინცია

**თელავი.** თელავი და მისი მაზრა წარმოადგენდა ყაჩაღების და ქურდ-ბაცაცების ბუდეს. დღე ისე არ გავიდოდა, რომ მკვლელობა და ყაჩაღობა არ მომხდარიყო. მცხოვრებლები აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, შიშისაგან გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ. ყაჩაღების თავხედობის ასალაგმავათ 23 ნოემბერს თელავს ეწვია თბილისის გუბერნიის კომისარი შ. მაღლაკელიძე თავისი რაზმით, რომელიც მთავრობამ აღჭურვა გენერალ-გუბერნატორის უფლებით. ჩამოსვლისთანავე მიიღო სასტიკი ზომები, გამოაცხადა თელავში და მის მაზრაში სამხედრო წესები, დაუყოვნებლივ შეუდგნენ იარაღის მოკრეფას, აპატიმრებდნენ ყველას, ვინც თავის ნებით იარაღს არ წარმოადგენდა, დაატუსაღეს აგრეთვე ყაჩაღობაში შემჩნეული პირები. ჯერჯერობით დატრიალდნენ ახლო-მახლო სოფლებში იარაღის ასაკრეფად და კიდევაც სისრულეში მოიყვანეს. დიდ იმედებს ამყარებენ ალაზნის გაღმა მცხოვრებლები გენერალ-გუბერნატორზე, რომ არც მათ დატოვებს ყურადღებოთ, რადგან დიდ გაჭირვებას განიცდიან ყაჩაღების და ქურდ-ბაცაცების თავხედობით და შეუწყვეტელი თოფის სროლით. ყველანი დაიმედებული არიან, რომ იხსნის მათ ამ უბედურ მდგომარეობიდან. დეზერტირების შესახებ სასტიკი ბრძანება არის გაცემული, რათა ისინი დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სამხედრო ნაწილებში მთელი სახელმწიფო ნივთებით, რომლებიც გაიტაციათ მათ სამხედრო სამსახურის დროს. ვინც თავის დროზე, ე. ი. 2 ქრისტეშობისთვემდის არ გამოცხადდება, მიეცემა საველე სამხედრო სასამართლოში და დაიხვრიტება. მცხოვრებლებზე ამ განცხადებამ ძალიან იმოქმედა, სოფლებიდან დეზერტირები თანდათან იკრიბებიან ნაჩვენებ ადგილას. დღემდის თუ მცხოვრებლები გაიძახოდნენ, რომ ჩვენ მთავრობა არ გვყავსო, დღეს კი დარწმუნდნენ მთავრობის სიძლიერეში და ყველა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს.

ალ. კაპანაძე.

## ცნობები

შვილი ჩემი ვანო იესეს ძე ჯინჭარაძე მსახურობდა სპარსეთში სიდ. გარანდში სადგურის უფროსად. გადის ერთი წელიწადი და მის შესახებ არაფერი არ ვიცით. გთხოვთ, თუ ვინმემ იცით რამე მის შესახებ, გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: ოზურგეთი, ელიოტიას ძე ჯინჭარაძეს.

# განცხადებანი


**სკოლა**
ქართულ საწერ მანქანებზე წერის შესასწავლად.
**„ალაროდია"**
და ბიურო ქართულ წერისა მანქანებზე.
ბებუთოვის ქუჩა, სახლი № 24. (3—1)

გახსნილია
**კერძო სამკურნალო**
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფის „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა. სტაციონარული ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

რენტგენის და ელექტ. სამკურნ. კაბინეთი
მედიცინის დოქტორის
**ბ. მერაბოვისა**
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა.
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჰლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჭისა. მკურნალობს წამლობა. რენტგენოგრაფიული ჩაწერით. ავადმყოფებს რიგის გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
საწყლებს უფასოდ.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. ზიტილოვი ოპერ. სპეციალ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 საბ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და ბავშვთა 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩეჩილაძე შინაგ. და სიფილისის 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტუბერ. და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავადმყოფოსთან არსებობს საწმენდარი განყოფილება ექ. მ. მგალობლიშვილისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ხელმძღვანელობით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი ლოზნიანისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ციურიხში და პარიზში. ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციონები მიიღებიან სრულ პანსიონზე. ტელეფ. 5—96.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
**ჭეჭელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606-ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილი 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნიკო"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი
მიხეილ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი შ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღის ქ. № 33.

ექ. ქალი რ. ბ. [illegible]-ხაბაშვილი
[illegible] შინაგან, ქალისა და ვენერიულ ავადმყოფთ და [illegible] 6—7 სათ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—28.

ექიმი
**დ. ზ. ნიჟარაძე**
იღებს ავათმყოფებს დილის 2—4 საათ. [illegible] № 9 (1—4)

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
**მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და სხვა შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზუბალოვის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (გოლოვინის ხიდის ახლო).

ექიმი
**პ. ტ. ლორთქიფანიძე**
(ბაქოდან)
მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
ნაზაროვის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

მედიცინის დოქტორი
**ა. ბ. მაჭავარიანი**
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ბინის ტელ. № 49.

ექიმი
დიმიტრი მოსეს ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ქრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ქრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი ქალი
ე. ს. ქარუმიძე—ბიბურიშვილი.
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. ეძლევა საბჭოთ დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

კბილის საექიმო კაბინეტები
თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარათის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი ლ. მ. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7. [illegible] ქუჩა № 7. [illegible] პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი ნ. ლ. ტურაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან და ბავშვთა, სქესობრივ და სიფილისის სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სამხედრო აფთიაქის გვერდით.

1919 წლის იანვრიდან გამოვა დიდი (300—400 გვ.) ყოველ თვიური სალიტერატურო სამხატვრო, სამეცნიერო, საკოოპერაციო და საპოლიტიკო ჟურნალი
**—„შვიდი მნათობი"—**
ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილნი ლიტერატორები, მხატვრები, კოოპერატორები, პოლიტიკოსები და მეცნიერნი.
გამომცემლობა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა (3—1)

**საექიმო-სასანიტარო განყოფილება**
სთხოვს ექიმებს, ფერშლებს და მოწყალების დებს, ვისაც ჰსურთ იმუშაონ ეპიდემიებთან საბრძოლველ რაზმებში ადგილობრივ ან პროვინციაში—ერობებში, მიმართონ განყოფილების ბინაზე ალსაწყსხავად.
(ქვენიგევის ქ. სახლის № 10). იქვე მიიღება ცნობები სამსახურის პირობების შესახებ.

**„იმედი" სასადილო „იმედი"**
ახლად შედგარმა ქალთა წრემ განაახლა მუშაობა და გახსნა სასადილო „იმედი", სადაც მსურველს შეუძლია იგემოს მიიღოს გემრიელი სადილი. მოწვეულია გამოცდილი მზარეული. სასადილო „იმედი" მოწყობილია სუფთად და ლამაზად ყოველ დღე მზადდება ხაჭაპურები, ქადები და ყოველნაირი ნუგბარნი. სადილები მსურველთ მიეცემათ სახლში წასაღებათაც, შეკვეთა სადილებისა და ვახშმებისა მიიღება იქვე. სასადილო გაიხსნება **კვირას, 15 დეკემბერს**, საშუაო განყოფილებით, მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტები, სადილი დაიწყება 3 საათზე. სტოლების დაკვეთა შეიძლება იქვე. სასადილო „იმედი" მოთავსებულია ძველ სემინარიის შენობაში. (2—1)

დრამატიული საზოგადოების გამგეობის
**თავმჯდომარე**
ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს დანიშნულია
**საზოგადო კრება** აღნიშნული საზოგადოებისა